ბანკის ვებგვერდზე https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/card-payments განთავსებული "ელექტრონული კომერციის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ძირითადი პირობების" 1.4. პუნქტის შესაბამისად, სს "თიბისი ბანკი" გთავაზობთ "ელექტრონული კომერციის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში" (შემდგომში "სტანდარტული პირობები") შემდეგი ცვლილებების / დამატებების შეტანას:

1. შეიცვალოს სტანდარტული პირობების მე-3 მუხლის 3.1.17 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.1.17. ტრანზაქციის განხორციელებამდე გადამხდელისათვის, გადახდის გვერდის საშუალებით, თვალსაჩინო გახადოს ტრანზაქციის თანხა და ვალუტა."

2. შეიცვალოს სტანდარტული პირობების მე-3 მუხლის 3.2.4 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.2.4 არ დააწესოს რაიმე დამატებითი გადასახადი ტრანზაქციაზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანია წინასწარ, გადახდის მიღებამდე, კლიენტისთვის თვალსაჩინოდ მიუთითებს დამატებითი გადასახადის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მისი მიზნობრიობის თაობაზე."

3. შეიცვალოს სტანდარტული პირობების მე-3 მუხლის 3.2.5 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.2.5 არ მიიღოს გადახდა ვადაგასული, დაბლოკილი ან სტანდარტული რეკვიზიტების არმქონე ბარათით და მომხმარებლის მიერ მსგავსი მცდელობის შესახებ აცნობოს ბანკს."

4. სტანდარტული პირობების მე-2 მუხლის 2.1. პუნქტს დაემატოს 2.1.6 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.1.6. კომპანიას გაუწიოს ელექტრონული კომერციის ფარგლებში გადახდების მისაღებად საჭირო კონსულტაცია."

5. სტანდარტული პირობების მე-2 მუხლის 2.2 პუნქტს დაემატოს 2.2.14 - 2.2.18 ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.2.14. განახორციელოს მონიტორინგი (შეამოწმოს და დარწმუნდეს) იმ მიზნით, რომ კომპანია, მისი ელექტრონული მაღაზიის სისტემის გამოყენებით, ახდენს საქონლის/მომსახურების რეალიზებას, კომპანიის საქმიანობის მიმართულების შესაბამისად.

2.2.15. მოსთხოვოს კომპანიას, კლიენტის მიერ ტრანზაქციის ინიცირებისას, კლიენტისთვის თვალსაჩინო გახადოს ტრანზაქციის თანხა და ვალუტა.

2.2.16. კომპანიის მიმართ აწარმოოს დავა ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით, იმ შემთხვევაში, თუ კომპანია არ აუნაზღაურებს ბანკს ჩარჯბეკის / რეფანდის / საერთაშორისო საგადახდო სისტემებიდან მიღებული ჯარიმების საფუძველზე წარმოშობილ დავალიანებას და/ან ბანკი მოთხოვნის ავტომატურად დაკმაყოფილებას ვერ ახდენს სადაზღვევო რეზერვიდან / კომპანიის ანგარიშ(ებ)იდან თანხ(ებ)ის უაქცეპტოდ ჩამოწერის საფუძველზე.

2.2.17. კომპანიის მიერ საეჭვო/უკანონო ტრანზაქციების განხორციელებაზე საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, არ მოახდინოს კომპანიასთან ანგარიშსწორება და/ან შეუჩეროს/შეუწყვიტოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება.

2.2.18. ბანკის წინაშე ვალდებულებ(ებ)ის წარმოშობის შემთხვევაში / წარმოშობის შემდგომ, უაქცეპტო წესით (კომპანიის შემდგომი თანხმობის და/ან ინფორმირების გარეშე) კომპანიის ანგარიშ(ებ)იდან თანხ(ებ)ის (მათ შორის საკომისიოს, პირგასამტეხლოს, კომპანიის ანგარიშზე შეცდომით ჩარიცხული თანხის და ა.შ.) ჩამოწერისას, კონვერტაცია (საჭიროების შემთხვევაში) განახორციელოს თანხ(ებ)ის ჩამოწერის მომენტისთვის ბანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსით."

6. <u>სტანდარტული პირობების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტს დაემატოს 3.1.20 - 3.1.23 ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

„3.1.20. უზრუნველყოს საქონლის/მომსახურების რეალიზებისთვის გამოსაყენებელი ყველა ინტერნეტ და/ან საინფორმაციო რესურსის კლიენტის მიერ შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა / ნებისმიერი ხარვეზის დაუყოვნებლივ აღმოფხვრა, რათა ტრანზაქციის განხორციელებისას, კლიენტმა არ განიცადოს დანაკლისი.

3.1.21. არ დაუშვას კლიენტის მიერ საქონლის/მომსახურების შეძენის დროს ტრანზაქციის განხორციელება ოფლაინ რეჟიმში.

3.1.22. ტრანზაქციის უარყოფის (გადახდის მიღებაზე უარის თქმის) შემთხვევაში, ბანკს მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია უარის თქმის საფუძვლ(ებ)ის თაობაზე.

3.1.23. არასწორად დამუშავებული ტრანზაქციის (მათ შორის კლიენტისთვის თანხის დუბლირებულად/დაგვიანებით ჩამოჭრის) შემთხვევაში, ტრანზაქციის იდენტიფიცირებიდან 10 (ათი) დღის ვადაში აუნაზღაუროს ბანკს მიყენებული ზიანი/ზარალი."

7. <u>სტანდარტული პირობების მე-3 მუხლის 3.3 პუნქტს დაემატოს 3.3.4 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

„3.3.4. თითოეული საბარათე ოპერაციის შესახებ მიიღოს ბანკისგან (ბანკთან შეთანხმებული პერიოდულობით (მაგრამ არანაკლებ თვეში ერთხელ)) ოპერაციის იდენტიფიცირებისთვის საჭირო ტრანზაქციის უნიკალური კოდი / ინფორმაცია კომპანიის ანგარიშზე ჩასარიცხი თანხის და ვალუტის შესახებ."